სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 აგვისტო 2025

N 417/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის - „სურები 2 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლისა და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსაზე, შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ 15 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის -„სურები 2 ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N55;
2. შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N55 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/417-21-4-202508111009

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE